



გალტი & თავართი

შპს-ით შვისაკლამბლთბებს

ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

8 მაისი 2024

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.8036

კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევების უფროსი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | s.kurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.3654



ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, 2024 წლის დასაწყისიდან	ფასის ცვლილება 2021 წლის იანვრიდან დღემდე
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	182.5	-24.0%	+1.4%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	87.9	+0.4%	+14.0%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	9,892.4	+12.8%	+16.9%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,315.0	+7.3%	-1.5%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,441.7	-4.6%	+4.2%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	2,286.3	+2.5%	+10.8%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მვტ სთ	31.7	+5.4%	+1.7%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	203.0	+4.1%	-22.6%	

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: ფასები მოცემულია 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი

2024 წლის აპრილში ნავთობის ფასი თვეურად 0.4%-ით გაიზარდა. ამასთან, აპრილის პირველ კვირაში ფასი 4.3%-ით გაიზარდა, რაც ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ესკალაციის შედეგი იყო. დამასკოში ირანის საელჩოზე თავდასხმის შემდეგ, თეირანმა ისრაელი დაადანაშაულა და შესაბამისად ირანის საპასუხო დარტყმის მასშტაბს უნდა განესაზღვრა გადაიზრდებოდა თუ არა ექვსთვიანი კონფლიქტი უფრო ფართო ომსა და რეგიონის დესტაბილიზაციში. ვინაიდან რეგიონი ნავთობის მოპოვებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვანი კერაა, რისკების შესაბამისად, ფასმა თავდაპირველად მატება დაიწყო. თუმცა შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ინვესტორები დაარწმუნა, რომ ორივე მხარეს სურს რეგიონში ფართომასშტაბიანი ომის თავიდან აცილება, რის შემდეგაც ნავთობის ფასმა კლება დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ კონფლიქტი აპრილის ვაჭრობის ერთდღერთი მამოძრავებელი არ იყო. Energy Information Administration-ის (EIA) მონაცემების მიხედვით, ნავთობის მარაგი რამდენჯერმე გაიზარდა აშშ-ში. უახლესი მონაცემები აჩვენებს, რომ აპრილის ბოლო კვირაში ნავთობის კომერციული მარაგი (სტრატეგიული ნავთობის რეზერვის გარდა) 7.3 მლნ ბარელით გაიზარდა და 460.9მნ ბარელი შეადგინა, რაც მხოლოდ 3%-ით ნაკლებია ხუთწლიან საშუალო მაჩვენებელზე. Wall Street Journal-ის მიერ გამოკითხული ანალიტიკოსები სტრატეგიული ნავთობის რეზერვების 1.5 მლნ ბარელით კლებას ელოდნენ, რომელიც პირიქით - 594 ათასი ბარელით გაიზარდა. ზაფხულის სეზონის მოახლოებასთან ერთად, ინვესტორებისთვის ეს დადებითი სიახლეა, რადგან ე.წ. „სამოგზაურო სეზონზე“ მზარდია ნავთობპროდუქტების მოხმარება.


ამასთან, ნავთობის ფასების კლება შესაძლოა რამდენიმე ფაქტორმა შემოაბრუნოს. კერძოდ, ზაფხულში OPEC+-ის მოახლოებულ შეხვედრას ინვესტორები ყურადღებით დააკვირდებიან, რადგან მიწოდების ზრდამ ან შემცირებამ შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ბაზარზე. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთში, ამ ეტაპზე, ფართომასშტაბიანი ომი აცილებულია, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი რისკები. Rystad Energy-ის ანალიტიკოსების აზრით, გეოპოლიტიკური რისკის გარეშე, ნავთობი \$83 უნდა ღირდეს, რაც ნიშნავს, რომ ფასებში გარკვეული რისკ-პრემიუმი ჯერ კიდევ არსებობს. მეორეს მხრივ, ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ რეგიონში არსებული რისკები არასაკმარისადაა ასახული მიმდინარე ფასებზე.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბენზინის და დიზელის იმპორტის მოცულობა 2.6%-ით გაიზარდა 3თვ24-ში და 271 ტონა შეადგინა. იმპორტის საშუალო ფასი ამავე პერიოდში 7.4%-ით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი



ენერჯეტიკა

ბუნებრივი აირი

2024 წლის აპრილში ბუნებრივი აირის ფასი თვეურად 5.4%-ით გაიზარდა. აპრილის ვაჭრობაში მკვეთრი რყევები დაფიქსირდა ორივე მიმართულებით. ფასები მერყეობდა \$26.8-დან \$38.3-მდე ფარგლებში ერთ მცტ/სთ-ზე. მიუხედავად იმისა, რომ ფასები ენერჯეტიკის დონეზე მნიშვნელოვნად დაბალია, ანალიტიკოსები მომავალ ზამთარში ფასის ზრდის შესაძლებლობას განიხილავენ.


ევროპამ გასული ზამთარი რეკორდულად მაღალი მარაგით დაასრულა, რაც ხელსაყრელი ამინდისა და სტაბილურ და დივერსიფიცირებულ მიწოდებას უკავშირდება. გათხევადებულმა ბუნებრივმა აირმა (LNG) გადამწყვეტი როლი ითამაშა რეგიონის წარმატებაში. ამასთან, კონტრაქტის ვადა, რომელიც რუსეთს საშუალებას აძლევს ევროპაში გაზი უკრაინის გავლით გაიტანოს, მიმდინარე წლის ბოლოს იწურება. ასევე მზარდია მოთხოვნა აზიაში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით არსებობს ვარაუდი დამდეგი ზამთრისთვის არასაკმარის მიწოდებაზე. შესაბამისად, ფიქრებს შორის მომდევნო ზამთრის კონტრაქტები ყველაზე ძვირია.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, რუსეთსა და უკრაინას შორის გაზის ტრანზიტის ხუთწლიანი ხელშეკრულება 2024 წლის ბოლოს იწურება. ამ შეთანხმებით გაზის ნაწილი რუსეთიდან ევროკავშირს მიეწოდება. კიევის ოფიციალური პირების განცხადებით, შეთანხმება არ გახანგრძლივდება. რუსული მხარეც ადასტურებს, რომ მოლაპარაკებები არც უკრაინასთან და არც ევროკავშირთან არ მიმდინარეობს. ევროკომისიის განცხადებით, მიწოდების სამომავლო სცენარები არ ითვალისწინებს უკრაინის გავლით ბუნებრივი აირის ნაკადს. ამ დროისთვის ევროპაში რუსული გაზის ძირითადი შემსყიდველები არიან სლოვაკეთი, უნგრეთი, ავსტრია და იტალია.


ამასთან, მზარდია LNG მოთხოვნა აზიაში. ჩინეთში 2024 წლის პირველ კვარტალში LNG-ის იმპორტი 21%-ით გაიზარდა. ევროპის მსგავსად, აზიაში ბუნებრივი აირის გამოყენება პიკს აღწევს ზამთარში. ამიტომ, თუ დამდეგი ზამთარი უფრო ცივი აღმოჩნდება, ბაზარზე შეიძლება კონკურენცია გაჩნდეს ევროპულ და აზიელ მყიდველებს შორის, რაც ფასების ზრდას შეუწყობს ხელს.

თურქეთი გეგმავს გააფორმოს მრავალმილიარდიანი ხელშეკრულება ExxonMobil-თან. ამ დროისთვის, რუსეთი რჩება ქვეყნისთვის გაზის მთავარ მიწოდებლად (დაახლოებით 40% 2022 წელს), შემდეგ მოდის აზერბაიჯანი, ირანი და სხვები. გეგმის მიხედვით, ხელშეკრულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს 2.5 მლნ ტონამდე LNG-ს, რაც ქვეყნის მოხმარების დაახლოებით 7%-ს უდრის. გარიგება ExxonMobil-ის ინტერესებშიც შედის, რადგან კომპანიამ დაისახა ამბიციური გეგმა, გააორმაგოს თავისი LNG პორტფელი 2030 წლისათვის.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მცტ სთ



გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბუნებრივი აირის იმპორტის ღირებულება წლიურად 20.4%-ით შემცირდა 3თვ24-ში, რაც დაბალი საიმპორტო ფასის შედეგია, რადგან მოცულობა ბევრად ნაკლებად 6.0%-ით შემცირდა 6/6.



ძვირფასი ლითონები

ოქრო

2024 წლის აპრილში ოქროს ფასი თვეურად 2.5%-ით გაიზარდა. ძვირფასი მეტალი აგრძელებს ახალი რეკორდების დამყარებას. ფასის მატებას, რომელიც 2023 წელს დაიწყო, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ აქვს ზრდის პოტენციალი. წელს ოქროს ფასი 10.8%-ით გაიზარდა, ძირითადად იგივე ფაქტორებით, რაც გასულ წელს - ცენტრალური ბანკები (შესყიდვები და საპროცენტო განაკვეთები) და ჩინეთი.


ინვესტორები ფედერალური რეზერვის სხდომას ელოდნენ საპროცენტო განაკვეთის შემცირების გადაწყვეტილებაზე. Fed-მა აღნიშნა, რომ პროგრესი ინფლაციის შემცირების მხრივ ნელია, თუმცა საპროცენტო განაკვეთების შემცირება მოსალოდნელია. ამან ოქროს ფასის ზრდას შეუწყო ხელი, რადგან დაბალი განაკვეთები, როგორც წესი, დადებითად მოქმედებს ოქროზე, რადგან იგი სახაზინო ობლიგაციებზე უფრო მიმზიდველი ხდება ინვესტორებისთვის.

ოქროს მოთხოვნა ასევე მზარდია ჰეჯირების მიზნით, რომელიც ძირითადად აზიის დამსახურებაა. ადგილობრივ ბაზრებზე კრიზისის შემდეგ ჩინელმა ინვესტორებმა ფული ოქროში გადაიტანეს. ეს პროცესი ჩვენს წინა რამდენიმე მიმოხილვაშიც ვახსენეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, აპრილში ის კიდევ უფრო დაჩქარდა. გასულ თვეში ჩინეთში ოქროს ყიდვის პოზიციების რეკორდული მოცულობა დაფიქსირდა - 324,857 კონტრაქტი. მსოფლიო ოქროს კავშირის (WGC) თანახმად, განვითარებადი ბაზრები ყოველთვის იყვნენ ყველაზე დიდი მომხმარებლები, ნაწილობრივ ინდოეთის და ჩინეთის ტრადიციულად დიდი მოთხოვნის გამო. თუმცა, გლობალურ ბაზარზე მათ არ გააჩნდათ მნიშვნელოვანი ფასწარმოქმნის ძალა, რაც ახლა თანდათანობით იცვლება.

განვითარებადი ბაზრების მოთხოვნაში ინდივიდუალური ინვესტორების გარდა მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკების მზარდი მოთხოვნაც. მათი შესყიდვები განსაკუთრებით დაჩქარდა 2022 წლის ნოემბრიდან და რეკორდულ ნიშნულსაც მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ოქროს ფასი 40%-ზე მეტით გაიზარდა.


ამ დროისთვის ოქროზე მოთხოვნის შემცირების ნიშნები არ შეიმჩნევა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ განაკვეთები შემცირდება. ფუნდამენტური სიძლიერის გამო, ანალიტიკოსებს სჯერათ, რომ ძვირფას მეტალს აღმასვლის პოტენციალი ჯერ კიდევ დარჩა. JPMorgan-მა ნედლეულებს შორის ოქრო საუკეთესო არჩევანად დაასახელა და ელიან, რომ მისი ფასი \$2,500-ს მიაღწევს.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ოქროს ექსპორტის მოცულობა წლიურად 19.8%-ით შემცირდა 3თვ24-ში. გლობალურად ფასის ზრდამ ექსპორტის საშუალო ფასზეც იმოქმედა, რომელიც წლიურად 11.1%-ით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატის

2024 წლის აპრილში ამონიუმის ნიტრატის ფასი თვეურად 24.0%-ით შემცირდა. მისი ძირითადი წარმოების კომპონენტზე - ბუნებრივ აირზე ფასების შემცირების შემდეგ, ამონიუმის ფასებიც იკლებს. მსოფლიო ბანკის უახლესი ანგარიშის მიხედვით, სასუქების ფასების კლება მოსალოდნელია 2024 (-21.7%) და 2025 (-6.1%) წლებში.

ხორბალი

2024 წლის აპრილში ხორბლის ფასი თვეურად 4.1%-ით გაიზარდა. მიუხედავად ზრდისა, ფასები წლის დასაწყისიდან 22.6%-ითაა შემცირებული. ანალიტიკოსების აზრით, მიწოდების პოტენციალი პრობლემებმა შესაძლოა ფასები გაზარდოს. ამჟამად, აქცენტი კეთდება მსხვილი მწარმოებელი ქვეყნების ამინდზე. გაუარესებულმა პირობებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს რუსეთის, ევროპისა და აშშ-ს მიწოდებაზე. ამას თან ერთვის ოდესის რეგიონში მარცვლეულის შესანახ ობიექტებზე რუსეთის დარტყმები. უკრაინის ოფიციალური პირების თქმით, თავდასხმამ გაანადგურა აზიასა და აფრიკაში გასატანი საქონელი.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 9: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 39.1%-ით შემცირდა 3თვ24-ში. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა 31.9%-ით არის გაზრდილი, ხოლო საექსპორტო ფასი მნიშვნელოვნად შემცირებული (-53.8%).

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 16.4%-ითაა გაზრდილი 3თვ24-ში, ხოლო მოცულობა 49.6%-ით, რაც შემცირებული საშუალო იმპორტის ფასითაა გამოწვეული (-22.2% წ/წ).

წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2024 წლის აპრილში სპილენძის ფასი თვიურად 12.8%-ით გაიზარდა. ანალიტიკოსები ბაზარზე სპილენძის მნიშვნელოვან დეფიციტს ელოდებიან, რაც გამოწვეულია ძირითადი ეკონომიკების სამრეწველო აქტივობის გაუმჯობესებით და მიწოდების ზრდის შეზღუდული პერსპექტივით. მწარმოებლები არ აკეთებენ საკმარის ინვესტიციას ახალი მადნოების მშენებლობაში, სანაცვლოდ ისინი ბაზრის წილის მოპოვებას არსებული მადნოების შესყიდვით ცდილობენ. მაგალითად, BHP Group \$39 მილიარდად ცდილობს შეიძინოს Anglo American. აღნიშნული გარიგებით BHP გახდება სპილენძის უმსხვილესი მწარმოებელი ბაზრის 10%-იანი წილით. CRU Group-ის შეფასებით, მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭიროა ახალ მადნოებში \$150 მილიარდი ინვესტიცია.


ფეროსილიკონი

2024 წლის აპრილში ფეროსილიკონის ფასი თვიურად 4.6%-ით შემცირდა, ხოლო ჩინურის 7.3%-ით გაიზარდა. ჩინეთის ფასების ზრდა დიდწილად განპირობებულია გაზრდილი ექსპორტით, რადგან ადგილობრივი მოთხოვნა კვლავ სუსტია. ჩინეთის ფოლადის წმინდა ექსპორტი 2024 წლის პირველ კვარტალში წლიურად 35%-ით გაიზარდა. ადგილობრივი მოხმარება იმავე პერიოდში 6.3%-ით შემცირდა. ამ ეტაპზე, ადგილობრივი მოთხოვნის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება ნაკლებად სავარაუდოა.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



გრაფიკი 14: ფეროშენადნოების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია და გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. 2023 წლის კვების შემდეგ, იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა თითქმის განულებულია 3თვ24-ში.

ფეროშენადნოების ექსპორტის ღირებულება წლიურად 11.4%-ით შემცირდა 3თვ24-ში, მოცულობა კი 5.6%-ით გაიზარდა. ეს ზრდა, ერთჯერადი მსხვილი შესყიდვის გამო, შესაძლოა დროებითი აღმოჩნდეს.

წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალიზაციის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების, ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

მთავარი ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკის მთავარი ოფიცერი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

ასოცირებული ანალიტიკოსი
გიორგი ცქიტაშვილი | g.tsikitishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ზურაბ თავკელიშვილი | ztavkeshvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | s.kurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge